მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამაგისტრო პროგრამა **მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა** შეიქმნა პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლასთან ერთად. ის ხორციელდება ორ ეტაპად: პირველ წელს (I და II სემესტრი) სტუდენტი ისწავლის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, მესამე სემესტრს გაივლის პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლაში, ხოლო პროგრამას დაასრულებს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. პროგრამა უზრუნველყოფილია უმაღლესი კატეგორიის ქართველი და ფრანგი პროფესურით.

კრედიტების ურთიერთაღიარების საფუძველზე სტუდენტი მიიღებს პარიზის ჟურნალიზმის უმაღლესი სკოლისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიურ ხარისხსა და დიპლომს.**

პარიზის ჟურნალიზმის უმაღლესი სკოლა ერთ-ერთი უძველესია საფრანგეთში. ის დაარსდა ორი საუკუნის წინ, 1895 წელს და აღიარებულია ჟურნალისტური კადრების აღზრდის მძლავრ კერად.

სწავლა ინგლისურ ენაზეა, სურვილის შემთხვევაში - ფრანგულად.

საფრანგეთში სწავლისას სტუდენტს **შეუძლია აირჩიოს მოდულები, როგორც მედიის, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით**. სწავლის საზღაური ჩვენი უნივერსიტეტისთვის განისაზღვარა სპეციალური ტარიფით. **იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი, საკუთარი სურვილით, არ განაგრძობს სწავლას საფრანგეთში, სწავლის საზღაური განისაზღვრება წელიწადში 3100 ლარის ოდენობით.** ამასთან მიენიჭება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიურ ხარისხი.

საფრანგეთში სწავლის შემთხვევაში, პარტნიორული ხელშეკრულების საფუძველზე, სტდენტს არ მოეთხოვება სტანდარტიზებული ტესტის შედეგები ინგლისურ ენაში, საკმარისად ითვლება ფრანგულ მხარესთან სკაიპით გასაუბრება.